საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-08/ 596

ქ. ბათუმი 01 სექტემბერი, 2022 წ.

,,ბსუ-ს იმ სტუდენტთათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომლებმაც 2021-2022 სასწავლო წლის ბოლოს ვერ შეასრულეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 17 აგვისტოს N01-08/583 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 17 აგვისტოს N01-08/583 ბრძანებით დაწყებულია წარმოება იმ სტუდენტთა მიმართ (**დანართი №1-ის მიხედვით 378 სტუდენტი**) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანებით გამოსაცემად, რომლებმაც 2021–2022 სასწავლო წლის ბოლოსათვის ვერ შეასრულეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები - სრულად ვერ აითვისეს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და ერიცხებათ აკადემიური დავალიანებები.

ბსუ-ს რექტორის N01-08/583 ბრძანება გამოქვეყნდა ბსუ-ს ვებგვერდზე და დაეგზავნა ბსუ-ს პორტალის მეშვეობით N1 დანართში აღნიშნულ სტუდენტებს. სტუდენტთა ნაწილმა წარმოადგინა განცხადებები დამატებითი სასწავლო წელს სწავლის გაგრძელების თხოვნით. მათ შორის არიან სტუდენტები, რომლებმაც იკისრეს ვალდებულება დავალიანების 2022 წლის 30 ივნისის/30 ივლისის/30 აგვისტოს ჩათვლით დაფარვაზე, ვერ შეასრულეს დადგენილ ვადებში სრულად ან/და დამატებით დაერიცხათ 2021-22 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასური.

მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 17 აგვისტოს N01-08/583 ბრძანებაში, რათ გაგრძელდეს ადმინისტრაციული წარმოება და სტუდენტებს მიეცეთ საშუალება წარმოადგინონ განცხადებები, სწავლის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,2021-2022 წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით სწავლის საფასურის დავალიანების გამო ბსუ-ს სტუდენტთათვის სტატუსის შეჩერების შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 07 აპრილის N01-08/381 ბრძანების,** ,,2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით სწავლის საფასურის დავალიანების გამო ბსუ-ს სტუდენტთათვის სტატუსის შეჩერების შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 13 აპრილის N01-08/394 ბრძანების,** ,,2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით სწავლის საფასურის დავალიანების გამო ბსუ-ს სტუდენტთათვის სტატუსის შეჩერების შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 აპრილის N01-08/412 ბრძანების,** ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში (150 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე) რეგისტრირებული ბსუ-ს სტუდენტების დარიცხული სწავლის საფასურისგან გათავისუფლების შესახებ'' **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 19**

ივლისის №07-01/38 გადაწყვეტილების, ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 08 აგვისტოს MES 7 22 0000882884 და 2022 წლის 09 აგვისტოს MES 6 22 0000884269, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 15 აგვისტოს MES 3 22 0000906603, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 12 აგვისტოს MES 7 22 0000899921 და 2022 წლის 09 აგვისტოს MES 3 22 0000886318, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 03 აგვისტოს MES 6 22 0000870787, 2022 წლის 03 აგვისტოს MES 7 22 0000870887, 2022 წლის 17 აგვისტოს MES 8 22 0000913871 და 2022 წლის 17 აგვისტოს MES 6 22 0000913842, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 15 აგვისტოს MES 1 22 0000907510 და 2022 წლის 12 აგვისტოს MES 8 22 0000900794, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 09 აგვისტოს MES 3 22 0000887768 და 2022 წლის 17 აგვისტოს MES 5 22 0000914345, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 10 აგვისტოს MES 1 22 0000890311 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს იმ სტუდენტთათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომლებმაც 2021-2022 სასწავლო წლის ბოლოს ვერ შეასრულეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 17 აგვისტოს N01-08/583 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე, ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს: 2022 წლის 2 სექტემბერს - იმ სტუდენტების მიმართ, რომლებსაც აქვს 75 კრედიტზე მეტი აკადემიური დავალიანება; **2022 წლის 12 სექტემბერს** - იმ სტუდენტების მიმართ, რომელებსაც აქვთ **75 კრედიტის ან ნაკლები ოდენობით** აკადემიური დავალიანება და არ წარმოადგენენ განცხადებებს დამატებით სასწავლო წელს სწავლის გაგრძელების თაობაზე **ან/და არ ექნებათ დაფარული 2021-22 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ჩათვლით არსებული სწავლის საფასურის დავალიანება.“.**

4. ბრძანება სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს სტუდენტებს.

5. ბრძანება დაინტერესებულ პირთათვის ოფიციალური გაცნობის მიზნით (საჯარო გამოცხადება) განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება დაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიებს სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტებს და განთავსდეს შესაბამისი სტუდენტის პირად საქმეში.

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**